პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 60 (13742) | კვირა, 12 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებაში, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო, აღნიშნულია, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სახელმწიფო საქმეების მართვაში ხალხთა მასების ჩაბმის დარგში. ადგილობრივი საბჭოების სისტემაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მასობრივი რგოლია სასოფლო და სადაბო საბჭოები. სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეულ თითქმის 1,5 მილიონ დეპუტატს. სასოფლო და სადაბო საბჭოები მუშაობენ უშუალოდ მშრომელთა შორის და ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ მათთან სულ სხვადასხვა საკითხზე. ტერიტორიაზე, რომელსაც ეს საბჭოები ემსახურებიან, ცხოვრობს 110 მილიონზე მეტი კაცი, არის 36 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, თითქმის 12 ათასი საბჭოთა მეურნეობა, საწარმოთა, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებას თავიანთ ტერიტორიაზე, წყვეტენ მოსახლეობის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს. დეპუტატთა უმრავლესობა კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობათა შესრულებას. ისინი სისტემატურად ანგარიშს ამომრჩევლებს, ასრულებენ მათს განაწყენს. ამავე დროს ბევრი სასოფლო და სადაბო საბჭოს მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ისინი მოლიანად ვერ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს, ხალხთან გავლენას ვერ ახდენენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმეებზე. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ მუშაობაში ხელოვნებს, საავადმყოფოებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს, მაღაზიებს, კლუბებსა და მოსახლეობის მომსახურე სხვა ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობის მდგომარეობისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასოფლო, სადაბო საბჭოებს.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრასთან. საბჭოების, მათი აღმასკომების სხვიებზე ნაკლებად განიხილავენ სოფლის, დაბის ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს; სუსტად არის ორგანიზებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, საკმაოდ აქტიურად ვერ მუშაობენ მუდმივი კომისიები, ყველა დეპუტატი როდი მონაწილეობს საბჭოს საქმიანობაში. ბევრი სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომი ინიციატივას ვერ იჩენს, რომ თავის საქმიანობაში ჩაბას აქტივი, განსაკუთრებით სოფლის ინტელიგენცია, იშვიათად მართავს მოქალაქეთა კრებებს.

ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი არსებითი მიზეზია ის, რომ ბევრი საბჭოთა და პარტიული ორგანო ადგილზე საკმარის ყურადღებას არ უთმობს სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობას, არ ეხმარება მათ მუშაობაში.

ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები სათანადოდ არ აზრუნავენ იმისათვის, რომ შეარჩინონ და აღზარდონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების კადრები, არ თვალისწინებენ იმას, რომ ამ კადრებზე დიდად არის დამოკიდებული საბჭოების მუშაობა, მოსახლეობის მომსახურება, საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი ადგილებზე.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სმხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ამ საბჭოებმა გააძლიერონ საქმიანობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაჭრის დარგში. საჭიროა უზრუნველყოთ, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები უფრო ძლიერ გავლენას

ხალხის ნდობა

ქათაისის ლითოფონის ქარხნის თუთიის ხაამქროს მოწინავე მუშაკები (მარცხნიდან) ხაამქროს უფროსის მოადგილე ო. ხირბილაძე, ხაამქროს უფროსი ვ. კალაძე, მეპატარაღე ნ. რენდენკო, ცვლის უფროსი ი. კორძაია, ბრიგადირი დ. ლომიძე, მეპატარაღეები ა. კიბაბიძე და ბ. კირიუხინი, რომლებიც ხაუბილეო ვახტზე დგანან.

— ფოტო ა. ჭელიძისა.

სოხუმი. ქალაქ სოხუმის კალინინის № 327 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **დევი გიორგის-ძე სტურუას.**

სოხუმის დრამატული თეატრის დარბაზი ხალხითაა სავსე. თავიანთ დეპუტატობის კანდიდატთან შესახვედრად მოვიდნენ ამომრჩევლები — მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, დიასახლისები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. შირიაევამ. მან ილაპარაკა მშრომელთა დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომლის ვითარებაშიც მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. ილაპარაკა იმაზე, რომ მშრომელები ისწრაფვიან საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი 50 წლის იუბილე აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — სოხუმის კორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორმა, პროფესორმა შ. ბასილაიამ შეკრებილთა გააცნო დ. გ. სტურუას ბიოგრაფია და პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწეობა, დაახასიათა იგი როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი. ნდობით აღჭურვილმა პირმა მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ დ. გ. სტურუას.

ნდობით აღჭურვილი პირის მოწოდებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ბ. ლაპინმა, საკონდიტრო ფაბრიკის მუშამ გ. მელაძემ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა დ. ჩუკბარმა, საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის მეცნიერმა თანამშრომელმა ა. პაპაკომ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ს. მელქონიანმა. მათ მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები ხმას მისცემენ დ. გ. სტურუას. საბჭოთა ადამიანები, როცა ხმას აძლევენ კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ამით ისინი ხმას აძლევენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მშვიდობას, კომუნიზმს.

სიტყვა წარმოთქვა დ. გ. სტურუამ, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ მთელ თავის ძალღონეს, ენერგიასა და ცოდნას მოახმარს ხალხის სამსახურს.

მახარაძე. მახარაძის რაიონის პირველი № 283 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — მახარაძის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ კ. ქარჩილაძემ ამომრჩევლებს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია. მოუწოდა მათ ხმა მისცენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს.

ნდობით აღჭურვილ პირს მხარი დაუჭირეს მახარაძის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. ბიკოვმა, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. კიბაყაძემ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ლ. ჩხარტიშვილმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ზ. ბ. გელდიაშვილმა, რომელმაც აღუთქვა თავის ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათს დიდ ნდობას.

ზესტაფონი. კულტურის რაიონულ სახლში გორკის № 208 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს **ზინაიდა არსენის ასულ კვაჭაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა— ზესტაფონის მესამე საშუალო სკოლის დირექტორმა ბ. კუპატაძემ ილაპარაკი დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებისა და შრომითს საქმიანობაზე, დაახასიათა იგი როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

ზ. ა. კვაჭაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა თავის ამომრჩევლებს დიდი პატივისათვის და აღუთქვა, რომ ეცდება გაამართლოს მათი დიდი ნდობა.

თბილისი. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ბორის ზაქარიას-ძე ბარხუდოვი** შეხვდა № 36 სამრეწველო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს სადაც იგი ცხოვრობს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის ხელოვნური ბოჭკოს სართავი ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა ნ. ჯანუაშვილმა ბ. ზ. ბარსუკოვი დაახასიათა, როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათს დიდ ნდობას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი **თეიმურაზ ილიას-ძე მოსაშვილი** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქალაქ თბილისის ჯაფარიძის № 59 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გელაშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა მათ ხმა მისცენ თ. ი. მოსაშვილს.

დეპუტატობის კანდიდატმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მაღალი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

ქალაქ თბილისის ფიოლეტოვის № 61 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, თბილისის ენამის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტის რექტორს პროფესორ **გიორგი რომანის-ძე ზუნდაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ქალაქის პირველი საავადმყოფოს განყოფილების გამგემ ა. აკოფოვმა, აგრეთვე ნეეროლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. კაკაურიძემ, № 3 მექანიკური ქარხნის საამქროს ოსტატმა გ. შატბერიოვმა, თბილისის 87-ე საშუალო სკოლის დირექტორმა მ. სვანიძემ და სხვებმა დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

შეხვედრაზე გამოვიდა გ. რ. ხუნდაძე, რომელმაც აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათს დიდ ნდობას.

რესაუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 42 საარჩევნო ოლქში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი **მარიამ გიორგის ასული გვრიტიშვილი** შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი წარმოების პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ნ. დონდუამ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მ. გ. გვრიტიშვილს.

მ. გ. გვრიტიშვილმა აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათ დიდ ნდობას.

ქალაქ თბილისის ტელმანის № 17 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს „თბილისგვიროსმშენის“ სამმართველოს უფროსს **ვიქტორ დავითის-ძე გოცირიძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ს. ჭურაძემ, აგრეთვე ამომრჩევლებმა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სახელოსნოების ზენინკალმა ს. ფოცხვერაშვილმა, № 1 მაცივრის ინჟინერმა ა. ჯანელიდმა, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ლ. ბოჩკოვამ, დიასახლისმა თ. ძველიაძემ ვ. დ. გოცირიძე დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათ მაღალ ნდობას

ბარდანანი. სოფელ სართიჭალაში სართიჭალის № 76 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში **რაფიელ სიმონის-ძე ელიგულაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა სართიჭალის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ს. გენგაშვილმა, აგრეთვე ახალგაზრდა ამომრჩეველმა მ. ჰაქსაშვილმა, სართიჭალის რუსული სკოლის მასწავლებელმა ზ. მორდვინოვამ და სხვებმა ერთსულოვნად მოუწოდეს ამომრჩევლებს ხმა მისცენ რ. ს. ელიგულაშვილს.

დეპუტატობის კანდიდატმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ დიდ ნდობას.

თბილისი. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ალექნინის რაიკომის პირველი მდივანი **სერგი ტარასის-ძე რიგვავა** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ალექნინის № 31 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ პროფესორმა ვ. კაბეთელიძემ, აგრეთვე ამომრჩევლებმა ხ. გორგობიანმა, ლ. ალტავამ და სხვებმა დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

ს. ტ. რიგვავამ გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული ნდობისათვის და აღუთქვა მათ, რომ გაამართლებს ამ მაღალ ნდობას.

ყვარელი. ენისელის № 191 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს „ეკაკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარეს **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ჯავახიძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ენისელის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. მარტაშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ ნ. ს. ჯავახიძეს.

ნდობით აღჭურვილ პირს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გრემის სახოგადოებრივ საწყისებზე არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ნერსესაშვილმა, გრემის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ნ. კახაშვილმა და სხვებმა.

ნ. ს. ჯავახიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული დიდი პატივისათვის და სიტყვა მისცა მათ, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

თბილისი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს კლუბში ბარათაშვილის № 41 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ვიქტორი ბოსეს ასულ სირაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა „საქმთავარენერგოს“ მთავარმა ინჟინერმა ი. მამალაძემ ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებისა და საზოგადო-სახელმწიფო მოღვაწეობაზე, დაახასიათა იგი როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი. ი. მამალაძემ ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ ვ. მ. სირაძეს.

ნდობით აღჭურვილი პირის მოწოდებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარმა ინჟინერმა გ. გუნიამ, „საქმთავარენერგოს“ ინჟინერმა ა. ფოფოძემ, დიასახლისმა გ. ლაფერაშვილმა და სხვებმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა ვ. მ. სირაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ მაღალ ნდობას.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ლიკინის № 7 საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **დავით გიორგის ძე ანუთიძე** შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ მ. სოფრომაძემ და შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს ირჩევნენ დღეს ხმა მისცენ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს დ. გ. ანუთიძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

თბილისის სანიტარული კულტურის თეატრში ჩელიუსკინელთა № 19 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მდივნის რაიკომის პირველ მდივანს **ბარბალე ნიკოლოზის ასულ გრიგალაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის დირექტორმა შ. გურაბანიძემ დამსწრეთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა.

ბ. ნ. გრიგალაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ბესარიონ დავითის ძე ყაზეტი** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქალაქ თბილისის ტაბიძის № 32 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა მწერალმა ნ. ჩაჩავამ ილაპარაკა ბ. დ. ყაზეტის ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ, ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ ბ. დ. ყაზეტს.

ბ. დ. ყაზეტმა აღუთქვა თავის ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

ნდობით აღჭურვილ ექვსი თბილისელი ფეხმძიმე ქალბატონ ამომრჩევლებმა — ფეხმძიმეობის დეკრეტის № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ალექსანდრე ალექსანდრეს ასულ ელიგულაშვილს.**

შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, ნდობით აღჭურვილი პირმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნ. ალანიამ დამსწრეთ გააცნო რ. ი. ლაღიძის ცხოვრება და შემოქმედება, მისი მომავლის გეგმები.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ რ. ი. ლაღიძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათს იმედებს.

ხიდანი. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **იოსეს ელიოზის ძე ნონეშვილი** ხაქალაქო № 175 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირებმა სიღნაღის სამუალო სკოლის პედაგოგმა ს. ხმალაძემ და ბოდბისხევის საშუალო სკოლის პედაგოგმა ქ. გელაშვილმა ილაპარაკეს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და შემოქმედებით საქმიანობაზე, ამომრჩევლებს მოუწოდეს ხმა მისცენ მას.

ი. ე. ნონეშვილმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებს მათი ნდობის გასამართლებლად.

ბაკური. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტერი **ალექსანდრე ერასტის ძე მელაძე** შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა სოსნორეთის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ბახტაძემ დამსწრეთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ ბ. ბ. ბახტაძეს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ა. ე. მელაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული მაღალი ნდობისათვის.

ხაშური. ხაშურის საელექტროენერგეტიკო ელექტროსადგურის მემანქანეთა საუკეთესო მემანქანის სახელი მოიპოვა **ოთარ ივანეს ძე რობაქიძემ.** ამ ბოლო სამი წლის მანძილზე ო. რობაქიძემ დაზოგა 100 ათას კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, ტვირთნიდიან გეგმებს მუდამ 110-115 პროცენტით ასრულებს. ო. ი. რობაქიძე აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია.

ამ დღეებში რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატი ო. ი. რობაქიძე შეხვდა ლენინის № 102 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანემ ა. წიგნიგაძემ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია.

ო. ი. რობაქიძემ თავის ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ იმუშავებს უფრო ჯერგად, გაამართლებს მაღალ ნდობას. (საქდესი).

შეხვედრები ამომრჩევლებთან

ეჭიმის მაღალი მოწოდება

საქართველოს მედიცინის მუშაკთა აქტივის კრება

თეორიულათიან ადამიანებზე, რომელთა კეთილშობილური შრომა ეძღვნება ბრძოლას საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, ლაპარაკობდნენ საქართველოს მედიცინის მუშაკთა აქტივის კრებაზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის. ამის დამაჯერებელი მაგალითია ჩვენი რეპუბლიკაც. საკმარისია ითქვას, რომ ახალი ხუთწლედის პირველ წელს მარტო სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებული იყო 142 მილიონი მანეთი — 45,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 1963 წელს.

ექიმებს მინდობილი აქვთ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, თქვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საჰმარლიძემ, რომელმაც აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა. ამიტომ ექიმი სათნო, კეთილშობილი და ჰუმანური უნდა იყოს. ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს უთქვამს, რომ მკურნალი ვალდებულია გონივრულობის, გულკეთილობისა და კაცთმოყვარეობის მაგალითი იყოს. მედიცინის მუშაკი ავადმყოფის მამა, ძმა, ჯამაგასაელის გზაზე დამდგარი ადამიანის დამეგული და ჯანმრთელი ადამიანის მეგობარი უნდა იყოს.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ამ კეთილშობილური პროფესიის ადამიანი, რომლებმაც მშრომელთა დიდი პატივისცემა, სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს. ბევრი შესანიშნავი სპეციალისტი მუშაობს არა მარტო რესპუბლიკის დედაქალაქში, არამედ პერიფერიაში, შორეულ სასოფლო საავადმყოფოებში. მათ შორისაა, მაგალითად, თიანეთის რაიონის სოფელ სირნის უბნის საავადმყოფოს გამგე გიორგი კუპატაძე.

ავადმყოფთა დროულად გამოკვლევების კარგი ორგანიზაციისა და სამედიცინო დახმარებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა და ფულადი პრემიებით დააჯილდოდა ქალაქ ბათუმის ონკოლოგიის დისპანსერის ექიმები ბ. ქიქავა, ა. ჯიბლაძე, ს. ბლიხერნა. სიყვარულით ემსახურებიან ხალხს წალკის ტუბდისპანსერის ექიმი ა. თათაროვა, რუსთავის საბაავშო ბაღის პედიატრი მ. ჩახალაშვილი, წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვეხნის საავადმყოფოს მთავარი ექიმი დ. ბანძელაია, ქალაქ თელავის სამშობიარო სახლის გინეკოლოგი ე. დოლაბერიძე და სოფლის ექიმი ქ. სულაქველიძე, ონჩამარის აფთიაქის მმართველი შ. ნაჭყებია და სხვები.

ამხ. საყვარელიძემ და კრების სხვა მონაწილეებმა საგულდაგულოდ განიხილეს მიღწეულები და ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში საეცნო მოისპო მთელი რიგი ინფექციური დაავადებანი და მათ შორის რესპუბლიკის პირობებისათვის ისეთი დამახასიათებელი ძმიმე სენი, როგორიცაა მალარია, რომელსაც წინათ უმსხვერპლა მეტი ადამიანი, ვიდრე ყველა ინფექციური დაავადებას ერთად.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ფართო მასშტაბით სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებამ ნაყოფი გამოიღო. საქართველოში სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი დონეა. ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ახლა რესპუბლიკაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 72 წელია.

1964-1966 წლებში საქართველოს მშრომელებმა მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე მიიღეს 3.425 საავადმყოფო საწოლი. გაიხსნა ისეთი მრავალპროფილიანი საავადმყოფოები, როგორიცაა თბილისის ბავშვთა, ზესტაფონისა და საჩხერის ცენტრალური, აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფო და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები განუხრელად ახორციელებენ რაიონული მრავალპროფილიანი საავადმყოფოების შექმნის კურსს. ასეთი ტიპის საავადმყოფოები უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ყველა სახეობის სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას. სტაციონარებს ამსხვილებენ, იხურება ცუდად აღჭურვილი წვრილი სამკურნალო დაწესებულებანი. მაგალითად, ამ ბოლო დროს დაიხურა 60 სასოფლო პატარა საავადმყოფო და 150 საფერშლო-სამეანო პუნქტი. მათ ნაცვლად გაიხსნა 70 სასოფლო ამბულატორია, 20 სადგური და განყოფილება და სასწრაფო დახმარების სადგური. ფართოდ გაბაღდა დიდი მრავალპროფილიანი საავადმყოფოების შენებლობა. სულ უფრო უმჯობესდება მათი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით.

სამკურნალო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების იმ პერსპექტიული გეგმის შესაბამისად, რომელიც რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა შეიმუშავეს, მომდინარე ხუთწლეულის მანძილზე მარტო თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 3 ათასზე მეტი ახალი საავადმყოფო საწოლი. თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება მშენებარე 1100 ადგილიანი რესპუბლიკური საავადმყოფო, 300 ადგილიანი ბავშვთა და თვალის საავადმყოფოები, ქირურგიის, ონკოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტის შენობათა კომპლექსი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობათა შესაბამისი რეკონსტრუქციის შემდეგ იქ გაიხსნება 500 ადგილიანი საავადმყოფო.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის მშენებლებმა გაუაქტიურესეს შუამაბა ახალ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის. მაგალითად, 1966 წელს ამ მიზნით მათ აითვისეს ორი ეიალიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1963-1964 წლებში ერთად. მოსაწონი და გავრცელებულია თელავის, ზუგდიდის, ქუთაისის, გარდაბნისა და სხვა რაიონების ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ააშენონ თავიანთი სახსრებით მრავალსაწოლიანი საავადმყოფოები. უსინათლოთა რუსეთელიკური საზოგადოება აპირებს თავისი სახსრებით ააშენოს თბილისში 300 საწოლიანი თვალის საავადმყოფო და თვალის დისპანსერები სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის ყველა მედიცინის მუშაკის სახელით პარტიასა და მთავრობას აღუთქვეს, რომ არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილეს შეხვდნენ ახალი წარმატებებით საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვაში.

საქართველოს მედიცინის მუშაკები, იბრძვიან რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამსჯნინანდელი დადგენილების განხორციელებისათვის, კიდევ უფრო გაუმჯობესებენ მუშაობას.

ამასთანავე, კრების მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს გადაუჭარელ ამოცანებს. მკაცრად გააკრიტიკეს დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც არის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულების საქმიანობაში. ამ ნაკლოვანებათა შორის აღინიშნა უყურადღებო, ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულება ავადმყოფისადმი, უფასო მკურნალობის პრინციპის დარღვევა, დაავადებათა არასაკმაო პროფილაქტიკა, პედიატრიული დახმარების სუტი მდგომარეობა და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო მომსახურების სუსტი ორგანიზაცია, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სპეციალიზაცია ერთად ერთი სწორი მიმართულებაა სანედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კრებამ სერიოზული ყურადღება დაუთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის სრულყოფა და ამაღლება, ახალგაზრდა ექიმების სწორი განაწილება და გამოყენება. აღინიშნა, რომ თეორი წყაროსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში შექმნილი არ არის საჭირო საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები მედიცინის მუშაკებისათვის, რაც იწვევს სამედიცინო კადრების დენადობას.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს ჯანმრთელობის დაცვის მთელმა რიგმა მუშაკებმა და დაწესებულებებმა, წამოაყენეს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების შემდგომი გაუმჯობესების პრაქტიკული საკითხები, დასახეს რესპუბლიკის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მზარდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკეთ გამოყენების წინადადებანი.

ისაზე, თუ რა წარმატებანია მოპოვებული საქართველოს დედაქალაქში უკანასკნელი წლების მანძილზე მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაში, ილაპარაკა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ლაპინმ. ქალაქში გაიხსნა 75-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო, სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ფოთის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის ათი საავადმყოფო საწოლი. ბოსანეულობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას 140 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 350 წარმომადგენელი.

კარგად ორგანიზებული პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები, ბავშვთა აიკვიდილიანობა. 1959 წლიდან ქალაქში არ ყოფილა დიფტერიით დაავადების არც ერთი შემთხვევა.

ამასთანავე, აღინიშნა ნ. ლაკიამ, მაინც გვაკლია საავადმყოფო საწოლები, საჭირო აიგოს 400-ადგილიანი საავადმყოფო.

ტრიბუნაზეა წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვეხნის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი დ. ბანძელაია. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მექვეხნის საავადმყოფო, რომელსაც 25 საწოლი აქვს, აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით.

დიდი პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად, რასაც საავადმყოფოს კოლექტივი ეწევა, რაიონში აღმოფხვრილია ბევრი დაავადება.

საავადმყოფოს კოლექტივმა ახალი ვალდებულებანი იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ქართველ ოტორინოლარინგოლოგთა წარმატებებზე ილაპარაკა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. ხმჩინაშვილმა. ჩვენი რესპუბლიკის ყურის, ყელისა და ცხვირის დარგის სპეციალისტებს დაგვგმელი აქვთ მოაწყონ კვლევა: ახალი, უაღრესად პერსპექტიული მიმართულებებით.

მეცნიერმა აღნიშნა, რომ უფრო ხელშემწყობი პირობები უნდა შეიქმნას კლინიკ

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის 50 წლისთავი

მეფის თვითმპყრობელობის დამხობა

ორმოცდაათი წლის წინათ, 1917 წლის თებერვლის მიწურულში (ძველი სტილით), რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა და ჯარისკაცის ფარაჯებიანმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მეფის თვითმპყრობელობა და უზრუნველყვეს რუსეთში მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ამ რევოლუციაში განხორციელდა მუშებისა და გლეხების საბრძოლო კავშირის ლენინური იდეა. რევოლუციის ბელადი და მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო რუსეთის გმირი პროლეტარიატი, რომელიც სათავეში ედგა გლეხობის ბრძოლას მიწისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

თებერვლის რევოლუცია კანონზომიერი საზოგადოებრივი მოვლენა იყო ჩვენი დიდი სამშობლოს მუშებისა და გლეხების რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. იგი განპირობებული იყო რუსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მთელი მსვლელობით.

თებერვლის რევოლუციას წინ უძღოდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლები. მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებისა და პირველ მსოფლიო ომში თვითმპყრობელური რუსეთის სამხედრო დამარცხებათა შედეგად ფართოვდებოდა მუშათა საგაფიცო მოძრაობა. მაგალითად, თუ 1914 წლის მეორე ნახევარში გაფიცებებში მონაწილე მუშების რიცხვი 40 ათას არ აღემატებოდა, 1915 წელს იგი უდრიდა 540 ათასს, ხოლო 1916 წელს მოეწყო 1.500 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 1 მილიონზე მეტი მუშა. 1915 წელთან შედარებით 1916 წლის გაფიცვების საერთო რიცხვში პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები სჭარბობდა.

ომმა მძიმე გავლენა მოახდინა რუსეთის სოფლის მეურნეობაზე. ჯარში მობილიზებულთა მთავარ მასას შრომისუნარიანი გლეხობა შეადგენდა, რამაც მეტად შეამცირა სამუშაო ძალის რაოდენობა სოფლის მეურნეობაში. ამას დაემატა მუშა-საქონლის ხშირი რეკვიზიციები და მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დაბალი დონე. ყოველივე ამან გამოიწვია სოფლის მეურნეობის დაცემა-გაპარტახება.

მუშათა გაძლიერებული მოძრაობის გავლენით, სოფლად თავი იჩინა რევოლუციურმა გამოსვლებმა. გლეხები იტაცებდნენ მემამულე თავად-აზნაურობის ტყეს და ინვენტარს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეების კარმიდამოს და აძევებდნენ მათ სოფლებიდან. დღითიდღე ძლიერდებოდა მღელვარებანი მეფის ჯარში ფრონტზე და ზურგში. იმატა სარდლობისადმი ჯარისკაცების დაუმორჩილებლობის, საძულველი ოფიცრების მოკვლის, ამბოხების და სხვა შემთხვევებმა.

ამოძრავდნენ ჩაგრული ერებიც. 1916 წლის ზაფხულში შუა აზიასა და ყაზახეთში იფეთქა აჯანყებამ, როშელშიც მილიონობით ადამიანი მონაწილეობდა.

1916 წლის მიწურულში შედგა რუსეთის ფრონტების სარდალთა თათბირი, რომელმაც ერთხმად დაადასტურა ფრონტების ჯარისკაცებში რევოლუციური განწყობილების მრავალი შემთხვევა. ასასიობდა რა რიგისა და დვინსკის ფრონტების მდგომარეობას, გენერალი ბრუსილი იძულებული იყო განეცხადებინა, აღნიშნული ფრონტები „პრობაგანდით შეპყრობილ ორ ბუდეს წარმოადგენსო“.

ერთი სიტყვით, 1916 წლის მიწურულში ქვეყნად და ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა ნათლად დაადებდა რევოლუციური სიტუაციის დადგომას, რუსეთის მეორე რევოლუციის გარდუვალობას.

1917 წლის დასაწყისიდან რევოლუციური ამბების სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხეროს მოწოდებით რუსეთის სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატმა ძლავრი გაფიცვებითა და რევოლუციური დემონსტრაციებით აღნიშნა 1905 წლის 9 (22) იანვრის წლისთავი.

1917 წლის იანვრიდან დაწყებული პეტროგრადში, მოსკოვში, ბაქოსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში ერთი წუთითაც არ წყდებოდა მუშათა გაფიცვების ტალღები. მუშათა მედგარი გამოსვლები რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენდა სოფლისა და მეფის არმიაზე.

1917 წლის 14 თებერვალს, სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა გახსნის დღეს, ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებულმა მენშევიკურმა „მუშათა ჯგუფმა“ მოუწოდა მუშებს მოეწყოთ მშვიდობიანი მსვლელობა თავრიდის სახალხისაკენ იმ მიზნით, რომ სახელმწიფო სათათბიროსათვის წარედგინათ მოთხოვნა „ხალხის ნდობის“ მთავრობის შექმნის შესახებ. მენშევიკების მიერ გათვალისწინებული მშვიდობიანი მანიფესტაციის საწინააღმდეგოდ პეტროგრადის ბოლშევიკების კომიტეტმა მუშებს მოუწოდა მოეწყოთ გაფიცვები და დემონსტრაცია ლოზუნგებით: „ძირს მეფის თვითმპყრობელობა!“ „ომი ომს!“ „აუმარჯოს დროებითს რევოლუციურ მთავრობას!“ და სხვ.

17 თებერვალს დაიწყო პუტილოვის (ამჟამად კიროვის სახელობის) ერთ-ერთი სახელოსნოს მუშების გაფიცვა, რომელმაც დასაბამი მისცა რევოლუციური მოძრაობის აზვირთვას პეტროგრადში. თებერვალშივე პეტროგრადში მოხდა არეულობა სასურსათო კრიზისის ნიადაგზე. 23 თებერვალს (8 მარტს), ქალთა საერთაშორისო დღეს, ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის მოწოდების საფუძველზე მეორე მუშა ქალების გაფიცვები და რევოლუციური დემონსტრაციები. მუშა ქალებს მხარი დაუჭირეს პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშა მამაკაცებმა. ეს გამოსვლები გადაიზარდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციად. ამ დღეს პეტროგრადში გაფიცული იყო 90 ათასი მუშა, ხოლო 24 თებერვალს— 200 ათასი. მომდევნო დღეებში საგაფიცო მოძრაობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

მეფის მთავრობის კონტრდონისძიებებისა და რეპრესიების პასუხად პეტროგრადის ბოლშევიკებმა უფრო გაძლიერეს მასების დარაზმვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1917 წლის 26 თებერვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალური მანიფესტით მიმართა რუსეთის ყველა მოქალაქეს და მოუწოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ, რომელსაც უნდა შეემუშავებინა დროებითი კანონები. ეს კანონები დაიცავდნენ ხალხის თავისუფლებასა და მოქალაქეობრივ უფლებებს, მოახდენდნენ მემამულეთა, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწების კონფისკაციას და გადასცემდნენ ამ მიწებს ხალხს, შემოიღებდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს და მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას.

მანიფესტი შემდეგი მოწოდებებით მთავრდებოდა:

„ყველანი საბრძოლველად!.. მთელ რუსეთში აჯანყების წითელი ალამი ფრიალებს!..

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რევოლუციურ მუშათა კლასს!

გაუმარჯოს რევოლუციურ ხალხსა და აჯანყებულ არმიას!“.

ბოლშევიკების მოწოდებებით აღფრთოვანებულმა მუშამა უფრო მეტად გაიცხოველეს იერიშები საძულველი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

აჯანყებულ მუშებს მიემხრნენ პეტროგრადის. გარნიზონის ნაწილების ჯარისკაცები, მაგალითად, 26 თებერვალს გაფიცულებს შეუერთდა 600 ჯარისკაცი, 27 თებერვალს — 67 ათასამდე, 28 თებერვალს — 127 ათასი, ხოლო 1 მარტისათვის — მთელი პეტროგრადის გარნიზონი.

მუშათა მოძრაობისა და ჯარისკაცთა გამოსვლების ერთ რევოლუციურ ნაკადად შერწყმამ საშუალოდ გადაწყვიტა რუსეთის თვითმპყრობელობის ბედი. რევოლუციად ქცეულმა მძლავრმა სახალხო მოძრაობამ აღგაგა პირისაგან მიწისა მეფის ხელისუფლება. ამგვარად, 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს) გაიმარჯვა რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

პეტროგრადს კვალდაკვალ მიჰყვა მოსკოვი, სადაც პროლეტარების ერთსულოვანმა გამოსვლამ, მოსკოვის გარნიზონის ჯარისკაცთა მხარდაჭერით, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, უზრუნველყო აჯანყებულთა გამარჯვება თვითმპყრობელობაზე.

თებერვლის უკანასკნელ დღეებში, როცა პეტროგრადის ქუჩებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა რევოლუციური მასების ხელჩართული ბრძოლა თვითმპყრობელობის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, წარმოიშვა მუშათა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო და 27 თებერვალსავე შეიქმნა თვითმარქვია „მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელშიც გაბატონებული ადგილები ჩაიგდეს ხელში მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლურმა პარტიებმა.

ამ ორგანოებში ბოლშევიკები უმცირობას შეადგენდნენ. ეს იმიტომ, რომ ისინი რევოლუციურ მასებთან ერთად იბრძოდნენ ხატაბატო ქალაქის ქუჩებში, მათი პარტიული ორგანიზაციები ყველაზე მეტად იყვნენ დარბეულნი და დევნილნი თვითმპყრობელური მთავრობის მიერ, პარტიის ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ემიგრაციაში იყო, ხოლო პარტიის ხელმძღვანელი მუშაკები ი. სტალინი, ი. სვერდლოვი, ს. ორჯონიკიძე და სხვ. ჯერ არ იყვნენ დაბრუნებულნი გადასახლებიდან და საპყრობილეებიდან. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შემთანხმებლურ პარტიებს ხელთ ეგდოთ საბჭო და მისი „აღმასრულებელი კომიტეტი“.

1917 წლის 1 მარტს მოხდა შეთანხმება პეტროგრადის საბჭოს „აღმასრულებელ კომიტეტსა“ და სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს შორის, რომელსაც თავმჯდომარეობდა მხვნელი მემამულე, ოქტაბრისტი, რეაქციონერი, IV სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე მ. როძიანკო. ამ შეთანხმებით დროებითი მთავრობის შექმნა ეკისრებოდა სახელმწიფო სათათბიროს დროებითს კომიტეტს.

მართლაც, კომიტეტმა შექმნა დროებითი მთავრობა, რომელიც შედგებოდა ლიბერალური ბურჟუებისა და მემამულეებისაგან, მხოლოდ იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა „დემოკრატიის“ ერთადერთ წარმომადგენელს ესერ ა. კერენსკის. დროებითი მთავრობის მეთაურობა დავალებული ჰქონდა მხვნელ მემამულეს, ერობის მოღვაწეს თავად გ. ლვოვს.

ამგვარად, დროებითმა მთავრობამ, პეტროგრადის საბჭოს ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობის გამცემლური პოზიციების შედეგად, ხელთ იგდო ხელისუფლება.

თებერვლის რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან შექმნა ორხელისუფლებიანობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ ვ. ი. ლენინს შეეცალა აზრი მოუსწრო. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში „1917 წლის 4(17) მარტის თეზისების მონახაზი“, „წერილები შორიდან“, „რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები“, „რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში“ და სხვ. მოგვცა რევოლუციაში საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის მეცნიერული ანალიზი და დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ნათელი პერსპექტივები.

როგორი იყო როგორც ერთი, ისე მეორე ხელისუფლების სოციალური ფესვები?

ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად განსაზღვრავდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის სოციალურ ბუნებას: „ესენი არიან წარმომადგენლები ახალი კლასისა, რომელიც ამაღლდა რუსეთში პოლიტიკურ ძალაუფლებამდე, კაპიტალისტური შემადგენლობისა და ბურჟუაზიის კლასისა, რომელიც დიდი ხანია მარმარაგს ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად... 1917 წლისათვის ეს ახალი კლასი უკვე „თითქმის მთლად“ მისული იყო ხელისუფლებასთან, ამიტომაც საკმაო იყო ცარიზმზე პირველი იერიშება, რომ იგი დანგრეულიყო და თავისი ადგილი ბურჟუაზიისათვის დაეთმო“.

ამ მთავრობის გვერდით წარმოქმნილი არაოფიციალური, ჯერ კიდევ განუვითარებელი, შედარებით სუსტი მუშათა მთავრობის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იგი გამოხატავდა პროლეტარიატის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მთელი უღარიბესი ნაწილის ინტერესებს. ეს არის პიტერის მუშათა დეპუტატების საბჭო.

როგორ მოხდა, რომ რევოლუციამ, რომელიც მოახდინა პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში, ძალაუფლება გადაცა ბურჟუაზიას?

ძალაუფლება აღმოჩნდა ბურჟუაზიის ხელში ისევ მისი რევოლუციურობის გამო, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის არასაკმარისი დარაზმულობის გამო. თებერვლის რევოლუციამ გამოაღვიძა მილიონიანი მასა პოლიტიკური ცხოვრებისათვის, მაშინდელი რუსეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა ნახევრადპროლეტარული და ნაწილობრივ წვრილგლეხური ათეულ მილიონიანი მასა. იგი თავისი სოციალური მდგომარეობით დაახლოებული იყო წვრილ ბურჟუაზიასთან, იმყოფებოდა ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიის გარკვეული გავლენის ქვეშ და განწყობილი იყო შემთანხმებლურად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სამრეწველო პროლეტარიატის კადრებმა იმპერიალისტური ომის განმავლობაში ცვლილება განიცადეს: მნიშვნელოვანი ნაწილი ჯარში იმყოფებოდა ან ფრონტზე დაიღუპა, ნაწილი ქალაქებიდან წავიდა, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს სოფლიდან მოსულმა ახალმა კადრებმა, რომლებმაც თან მოიტანეს თავიანთი წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი. უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, წერდა ვ. ი. ლენინი, წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე.

მენშევიკებისა და ესერების რევოლუციურ ფრაზებს გასავალი ჰქონდა მასებში. მათ ხჭეროდათ წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლების ქადაგება იმის შესახებ, რომ დროებითი მთავრობა მოახერხებდა რევოლუციას მიერ წამოყენებული ყველა ხაკითხის გადაჭრას, ამიტომ საჭირო იყო ამ მთავრობისათვის მხარის დაჭერა და ქვემოდან ზომიერი ზემოქმედების მოხდენა.

სწორედ ამ წვრილბურჟუაზიულმა სტიქიამ ხელი შეუწყო მენშევიკებსა და ესერებს მოეპოვებინათ გაბატონებული მდგომარეობა პეტროგრადისა და სხვა ქალაქების საბჭოებში და განეხორციელებინათ ბურჟუაზიისათვის ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემის გეგმა.

მენშევიკ-ესერული ლოზუნგი ბურჟუაზიის დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერის შესახებ, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმით წარმოადგენდა მუშათა კლასისათვის აშკარა ღალატს. ბურჟუაზიის დროებითი მთავრობა ვერ გადაჭრიდა მუშათა კლასის საჭირბოროტო ხაკითხებს იმის გამო, რომ იგი იდგა ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დაცვის პოზიციებზე: ხალხს ვერ მისცემდა ზავს იმიტომ, რომ იგი იყო ომის მთავრობა, იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის მთავრობა, იგი ვერ გადაჭრიდა მიწის, პურისა და თავისუფლების საკითხებს იმიტომ, რომ ის იყო მემამულურ-კაპიტალისტური მთავრობა. ზემოჩამოთვლილი საჭირბოროტო ყველა ძირითადი საკითხის გადაჭრა შეეძლო, ვ. ი. ლენინის თქმით, მხოლოდ მუშათა მთავრობას, მუშათა დეპუტატების საბჭოებს გლეხი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობასთან კავშირში. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკებმა დიდი ლენინის მეთაურობით წამოაყენეს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისადმი სრული უნდობლობის, არავითარი მხარდაჭერის ტაქტიკური ლოზუნგი.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მეფის თვითმპყრობელური წყობილების დამხობა რევოლუციის მხოლოდ პირველი ეტაპია. ეს პირველი რევოლუცია, უეჭველია, არ იქნება უკანასკნელი და ეს პირველი ეტაპი არ იქნება ჩვენი რევოლუციის უკანასკნელი ეტაპი. ჩვენი რევოლუციის პირველი ეტაპი და რუსეთში შექმნილი ვითარება რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას წარმოადგენს. პარტიას ესაჭიროებოდა თავისი ძალების, მუშათა კლასის მთელი ძალების დარაზმვა რევოლუციის მეორე ეტაპზე აუცილებელი გამარჯვებისათვის.

რუსეთის მუშათა კლასმა გამოიჩინა უდიდესი გმირობა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში და მასვე უანლოს დროში კვლავ უნდა ჩაედინა სახეწაუელბრივი გმირობა იმისათვის, რომ მოესპო კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება.

კომუნისტური პარტია, რევოლუციური მოქმედების ლენინური პროგრამით შეიარაღებული, ენერგიულად რაზმავდა რუსეთის გმირ მუშათა კლასს, ხალხის მასებს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციისათვის.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ჩვენ სამშობლოში გაიმარჯვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ორმოცდამეათე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის ახლა გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი დიადი სამშობლოს შრომელები.

ი. ხუციშვილი,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

„იზვესტია“ 50 წლისაა



ეროვნული გაზეთი

ეროვნული ნახევარი საუკუნე

ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 9 მარტს გაიხსნა „იზვესტიის“ კლუბში.

— ჩვენი გაზეთი, — თქვა გამოფენის გახსნის დროს მთავარმა რედაქტორ მ ა ლ. ნ. ტოლჩანოვმა, — წელთაღრიცხვას იწყებს ისტორიული 1917 წლიდან.

გამოფენის დამთვალიერებელნი ინტერესით გაეცვნენ ფოტოსურათებს, პლაკატებს, შარჟებსა და კარიკატურებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო გაზეთში, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ცოცხალი ისტორიის ამსახველ მასალებს.

აი საიკის შესახვევში მდებარე № 6 სახლის ფოტოსურათი. ამ სახლში დაიბადა „იზვესტიის“ პირველი ნომერი. ეს მოხდა რევოლუციურ პეტროგრადში. გადიოდა წლები, გაზეთი ძალებს იკრებდა, ვაკავდებოდა. რედაქციის კოლეგიები ბეჯითად ხელეწდა პროფესიულ ოსტატობას, ეძებდა გზებს მკითხველთა გულისაკენ. ახლა „იზვესტია“ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპოპულარესი გაზეთია. აი რამდენიმე ციფრი: 1917 წელს გაზეთის ტირაჟი 35 ათასი ცალი იყო, 1967 წელს კი 8.670 ათასი ცალი.

გაზეთის პოპულარობა გაიზარდა საზღვარგარეთაც, მას კითხულობენ 93 ქვეყანაში.

სტენდზეა სამშობლოს რუკა. წითელი წრეებით აღნიშნულია პუნქტები, სადაც იბეჭდება „იზვესტია“. ასეთი პუნქტი კი ოცდათოთხმეტია.

გამოფენის სპეციალური განყოფილება ეძღვნება მკითხველთა წერილებს. საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი გაზეთი. ისინი ხშირად უზიარებენ გაზეთის თავის საჭიროებებსა თუ საზრუნავს, ყველაზე ხანუკვარ ფიქრებს. „იზვესტიის“ ფოსტა ის მადლიანი გარემოა, რომელიც გაზეთს კვებავს.

აი გაზეთების ნომრები, სადაც პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი აქტები. აი იმ გვერდების ფოტოსურათები, რომლებზეც გამოქვეყნდა რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის ნაშრომები. აი მთელი გვერდები, რომლებიც აშუქებენ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა შრომითს დღეებს.

დამთვალიერებელნი დიდხანს ჩერდებიან სტენდებთან „ჩვენი ავტორები“.

(საკვლევი).

• • •

ამ სურათზე აღბეჭდილია ხაროტაციო საამქრო, სადაც გაზეთ „იზვესტიის“ მოსკოვის ხალამოს გამოშვება იბეჭდება.

ფოტო ა. სტეშანოვისა.



მილიონების სიყვარული

ხშირად ამბობენ — გაზეთი კაცობრიობის მაჯისცემაა. ამ საკითხით მართებულ და მშვენიერ ხატოვან თქმას მე დავუმატებდი: დიახ, მაჯისცემაც არის და მახვილი ბარადიც, ბარაღი, რომლითაც წარმატებით შეიძლება იბრძოლო ადამიანური სიკეთისათვის, დათრგუნო ყოველგვარი სიბოროტე და ხიბნელე.

„იზვესტია“ — ოქტომბრის თანატოლი და თანამებრძოლი ნამდვილი საყოველთაო-სახალხო, მილიონების საყვარელი გაზეთია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამაზე ნათლად მეტყველებს მარტო მისი ტირაჟი...

„იზვესტია“ ნახევარი საუკუნეა მხარში უდგას საბჭოთა ხალხს მის გმირულ ბრძოლასა და შრომაში ყველაზე მერმისისათვის, მხარში უდგას, როგორც ბრძენი მრჩეველი და კეთილი მეგობარი.

„იზვესტიის“ ფურცლებიდან მკითხველი ეცნობა როგორც საბჭოთა ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ხალხთა ცხოვრებას მთელი მისი სიღრმით, მთელი თავისი ხირთულით, წინააღმდეგობებითა და მრავალფეროვნებით.

„იზვესტია“ ფართოდ ასახავს საბჭოთა ლიტერატურულ ცხოვრებას, ხელოვნებას, მის წინსვლასა და განვითარებას. ეს ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა.

„იზვესტია“ მიეკვარს იმიტომაც, რომ გაზეთთან დიდი ხანია დაკავშირებული ვარ ჩემი შემოქმედებით. ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში „იზვესტიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ჩემი პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები ფრონტიდან. აქვე გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე ფრონტული ნოველა და მოთხრობა, კერძოდ „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“.

„იზვესტია“ მომავალშიც ჩვენი ხალხის საუკეთესო გაზეთი იქნება, ისეთი ჩემი სურვილი და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

პუშკინის მოედანზე, სადაც აღმართულია გაზეთ „იზვესტიის“ შვიდსართულიანი შენობა, ყოველთვის მრავლად არის ხალხი. რედაქციის წინ მდებარე თანამედროვე სტილის გაზეთის ლამაზ კიოსკთან მოუთმენლად მოელიან „იზვესტიის“ ყოველ ახალ ნომერს. გაზეთმა დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენს ქალაქებს შორის, არამედ საზღვარგარეთაც.

გაზეთ „იზვესტიას“ 50 წელი შეუსრულდა, იგი დიდი ოქტომბრის თანატოლია. რამდენჯერაც უნდა შეხვიდეთ საბჭოთა პრესის ამ ციტადელში, ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა ეუფლებათ. პრესის მუშაკის ინტერესი კი ორმხრივია. იგი ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავს, უნდა საფუძვლიანად გაიცნოს მსოფლიოში ამ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გაზეთის განყოფილებების მუშაობა, შეიგრძნოს ის ძალა, რითაც იგი შეუფერხებლად იკაფავს გზას მილიონობით ადამიანის გულში.

საბჭოთა ქვეყნის ნაზეგარსაუკუნოვან ისტორიაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შინაარსიანი და მიმზიდველი ასახვა არ ეპოვოს „იზვესტიის“ ფურცლებზე.

რატომ მოსწონთ „იზვესტია“, რატომ კითხულობენ მას ესოდენ დიდი ინტერესით და გატაცებით?! ამ კითხვებს უპასუხებს „იზვესტიის“ ყოველი ნომერი, რომელიც დიდი პროფესიული ოსტატობით, მაღალი გემოვნებით კეთდება და, რაც მთავარია, ცხოვრებისეული საკითხების ღრმა ანალიზს იძლევა. არა ერთი და ორი პრობლემატური საკითხი წამოუყენებია „იზვესტიას“ და ბოლომდე უზრუნია მის განსახორციელებლად.

როდესაც „იზვესტიის“ რედაქციის, მაშინვე ცალკეული განყოფილებების მუშაობას ეცნობი, მაშინვე წარმოიდგენ, თუ რამდენი რამის გაკეთება შეუძლია საბჭოთა პრესას. გაზეთი ხომ ხალხის სულიერი ცხოვრების საზრდოა. გაზეთიდან — ამ პატარა სარკმლიდან მოჩანს მთელი ქვეყანა და ადამიანები. ჟურნალისტები კი, რომლებსაც „მცირე მოედანი“ აქვთ სამოღვაწეოდ, ყველაზე ადრეულ ხედავენ და სწვდებიან, ხალხის ყველა ფიქრი და გულისთქმა ფართო სამსჯავროზე გამოაქვთ.

რა საკითხიც უნდა აიღოთ, იქნება ეს ეკონომიური, თუ საწარმოო, ლიტერატურისა თუ ხელოვნების, თვითეულ სტრიქონს ეჭირვება, რომ „იზვესტიის“ მუშაკები ახლოს ამიან ცხოვრებასთან, ესმით მისი ავკარგი და ამასთან გასაკუთრებულ პუნქტუალობას, სიზუსტეს იჩენენ. თვითეულ წერილს მანამდე არ მისცემენ „საგზურს“, სანამ მის ყოველმხრივ „ლაბორატორიულ“ გადამუშავებას არ მოახდენენ...

„იზვესტიაში“ იბეჭდებოდა სტატია ხალხური შემოქმედების განვითარების შესახებ. იგი შეეხებოდა ზოგიერთი კომპოზიტორის მიერ ხალხურ მუსიკალურ მოტივებზე დაწერილ ნაწარმოებთა სუსტ მხარეებს. დიბეჭდვამდე რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში მოწვეულ იქნა მრავალი სპეციალისტი. განყოფილების ერთ-ერთ ოთახში, სადაც დღის ღია ფერის პიანინო, ერთ-ერთი პირველი მიუჯდა ინსტრუმენტს განყოფილების გამგის მოადგილე, ჩვენი თანამემამულე ჩათელა ლორთქიფანიძე და კომპოზიტორებთან ერთად გაარჩია წერილში გაკრიტიკებული მუსიკალური ნაწარმოებები.

გაზეთის წარმატებას დიდად უწყობს ხელს მის ირგვლივ შემოკრებილ ავტორთა ფართო წრე, რომელშიც შედიან სახელგანთქმული მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი... ტვარდოვსკი, სურკოვი, გრიბაჩოვი, ტატიანა ტესი, ანდრონიკაშვილი და სხვები ხშირად თანამშრომლობენ გაზეთში. ტატიანა ტესი თვით რედაქციის ამარტში მუშაობს და მის ჟურნალისტურ საქმიანობას გაზეთში გამოქვეყნებს. დაბეჭდვამდე რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში მოწვეულ იქნა მრავალი სპეციალისტი. განყოფილების ერთ-ერთ ოთახში, სადაც ღია ფერის პიანინო, ერთ-ერთი პირველი მიუჯდა ინსტრუმენტს განყოფილების გამგის მოადგილე, ჩვენი თანამემამულე ჩათელა ლორთქიფანიძე და კომპოზიტორებთან ერთად გაარჩია წერილში გაკრიტიკებული მუსიკალური ნაწარმოებები.

გაზეთის წარმატებას დიდად უწყობს ხელს მის ირგვლივ შემოკრებილ ავტორთა ფართო წრე, რომელშიც შედიან სახელგანთქმული მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი... ტვარდოვსკი, სურკოვი, გრიბაჩოვი, ტატიანა ტესი, ანდრონიკაშვილი და სხვები ხშირად თანამშრომლობენ გაზეთში. ტატიანა ტესი თვით რედაქციის ამარტში მუშაობს და მის ჟურნალისტურ საქმიანობას გაზეთში გამოქვეყნებს. დაბეჭდვამდე რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში მოწვეულ იქნა მრავალი სპეციალისტი. განყოფილების ერთ-ერთ ოთახში, სადაც ღია ფერის პიანინო, ერთ-ერთი პირველი მიუჯდა ინსტრუმენტს განყოფილების გამგის მოადგილე, ჩვენი თანამემამულე ჩათელა ლორთქიფანიძე და კომპოზიტორებთან ერთად გაარჩია წერილში გაკრიტიკებული მუსიკალური ნაწარმოებები.

ოქტომბრის თანატოლი

კეთილი მეგობარი

ხშირი გითხრათ, გაზეთი „იზვესტია“ როდის გახდა ჩემი, როგორც მკითხველის, კეთილი მრჩეველი და მეგობარი, გამიჭირდება ვთქვა. ფაქტი კი ერთია — ათეული წლების მანძილზე მისი ფურცლებიდან ყოველდღიურად ვგებულობ მრავალფეროვან, საინტერესო ამბებს, როგორც ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნიდან, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ჯერ რუკაზე აღნიშნული მხარეებიდანაც კი.

გაზეთის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია, ხოლო საკითხები ორიგინალურად არის ხოლმე დასმული. პირადად სისტემატურად ვკითხულობ სტატიებს წარმოების მართვის ახალ სისტემაზე, მომარაგების საკითხებზე, საყოფაცხოვრებო თემებზე და ა. შ.

დღეს ჩვენი საყვარელი გაზეთი 50 წლის თუმცარია. გულსურვებ „იზვესტიის“ მრავალრიცხოვან ნიჭიერ კოლეგებს შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

ა. ფოფხაძე.
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის კომპლექტაციისა და კოოპერირების ენერგოფლების უფროსი.

ეს „იზვესტიის“ არა მარტო მბეჭდავია, არამედ პირველი მკითხველიც არის. „ხაფირმო“ ქუდიც ამიტომ ახურავს.

ფოტო ა. სტეშანოვისა.

ჩინეთის ამბები

გარემნულად პეკინის ცხოვრება თითქოს ორგანიზებული ვანდა. გაკრული დაძინაობთან თითქმის არ ჩანან ხუნვეიბინთა და ძაოვანთა ბრბოები, რომლებიც ლანძღავდნენ პარტიელ და სახელმწიფო მოღვაწეებს, ისეთებოდნენ „დაუფიქვდნენ ძაღლის თავებს“, დაამხობდნენ ყველას და ყველაფერს. სკოლებში მეცადინეობა დაიწყო. უფროსკლასელი მოსწავლეები სამხედროების მეთაურობით მწყობრად დადიან ქუჩებში.

მაგრამ, ამ ორი დღის წინათ კვლავ გაჩნდა ხუნვეიბინთა ფურცლები, რომლებიც მოიხსენებენ: „დავამხოთ ტან ჯენ-ლინი“, „ვაიძულოთ ტან ჯენ-ლინი აღიაროს თავისი დანაშაული თავმჯდომარე მაოს წინაშე“. ტან ჯენ-ლინი ჩინეთის

ერთი დღით... ტურისტული მატარებლით

ბუშინ ტურისტულ-თეატრალურ მატარებელ „ბოთა რუსთაველი“ დედაქალაქ თბილისს ესტუმრა ხაშურის რაიონის მშრომელთა ექსკურსია — 422 კაცი. სასურველ სტუმრებს სტუმართმოყვარულად შეხვდნენ თბილისის ვაგზალში პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, მეცნიერების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

ხაშურელებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, გეგრგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ ხაშურის რაიონის მოწინავე ადამიანები — მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა, მინდვრისა და ბაღ-ვენახების, მეცხოველეობის ფერმების სახელმოხვეჭილი მშრომელები, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის დარგის მოღვაწეთა წარმომადგენლები.

საყოველთაოდ ცნობილია ხაშურელ რკინიგზელთა უძველესი არმიის ტრადიციები სახელმწიფო დავალებათა შესრულების საქმეში. კვირეულის საწარმოები კვლავ მოწინავეთა რიგებში არიან. გასული წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ხაშურის სალოკომოტივო დეპომ პირველი ადგილი მოიპოვა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პროფკავშირების საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ხაშურელ მელოკომოტივეებს მხარდამხარ მიჰყვებიან მევაგონეები, მელიანდაგეები და რკინიგზის სხვა პროფესიის კოლექტივები.

ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, მათ შორის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს საიუბილეო წელი გადააქციონ უნვი მოსავლის წელწადად. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მინის ტარის გიგანტური საწარმო. წელს მან გეგმით 27 მილიონი ბოთლი უნდა გამოუშვას. ქარხნის კოლექტივმა კი 30 მილიონი ბოთლის წარმოება იკისრა. საიუბილეო დღესასწაულისათვის დაიწყება ქარხნის მთლიანი ექსპლოატაცია, რის შემდეგ სამშობლოს ყოველწლიურად 150 მილიონ ბოთლს მისცემს. მშენებლობის პროცესშია მეორე დიდი საწარმო — საფეიერო გალანტერიის ფაბრიკა. ამ ფაბრიკაში 3.500 მუშა იმუშავებს. ახლო მომავალში გაჩაღდება პლასტმასების ქარხნის მშენებლობა. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ სამივე საწარმოში სულ ათასობით კაცი იმუშავებს.

რაიონში უკვე არის პირველი წარმატებები. მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა ყველა საწარმომ გადაჭარბებით შეასრულა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოშვებულია 220 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

კარგი სტარტი აიღეს სოფლის მშრომელებმა. საუკეთესო ვადებში და აგროტექნიკის დაცვით ჩატარდა სამმოდგომო თესვა. 10 მარტისათვის წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის დავალებანი. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 1.376 ცენტნერი ხორცი, 4.600 ცენტნერი რძე, 660 ათასი ცალი კვერცხი, ანუ 259 ცენტნერით მეტი ხორცი, 1.500 ცენტნერით მეტი რძე და 270 ათასი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. გათვალისწინებულია წელს წარმოებულ იქნას 80.000 ცენტნერი მარცვლეული, 190.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 240.000 ცენტნერი ბოსტნეული, 25.000 ცენტნერი ყურძენი და სხვ. წლის ბოლომდე გაშენდება ხეხილის ბაღი 200 ჰექტარზე, ვენახი — 80 ჰექტარზე.

ბ. კორკოტაძე.

ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სურათზე: ხაშურელი სტუმრების ერთი ჯგუფი თბილისში.

ფოტო ბ. კობახიძისა.

ფეხბურთი

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 2:0 (0:0). თბილისი. 11 მარტი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ა. ბილჩენკო (ხოხუმი).

„ტორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, სიალაშვილი, ასტაშვილი (ზარია), ერქომაიშვილი, ვეკუა (ლ. ნოდია), ხაჟალია, ხერხაძე (ჭითანავა); **„დინამო“** — ნარსია, გოგიჯანაშვილი, ლორთქიფანიძე, კანთელაძე, ჭოხონელიძე, ხურცილავა, ჭითაური, ჭეიშვილი, ხუციშვილი, ასათიანი, ჭანტურია (ჯამრულიძე)

რა თქმა უნდა ტურნირი, რომელიც თითქმის ერთი თვეა გრძელდება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების მონაწილეობით არც ოქროს მედლებისათვის ბრძოლას წარმოადგენს და არც ბროლის თასისათვის პაექრობას. ეს არის ფეხბურთის საკავშირო ფედერაციისა და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კარგი წამოწყება, რომელიც მიზნად ისახავს სეზონისათვის გუნდების უკეთ მომზადებას და საშუალებას აძლევს მათ უფრო ახლოს გაეცნონ ერთმანეთს.

ასპარეზობისათვის შემთხვევით როდი იქნა არჩეული სამხრეთი, კერძოდ, საქართველო, სადაც ფეხბურთის გაზაფხული ყველაზე ადრე იწყება. ტრადიციით ჩვენი გუნდები, პირველ რიგში თბილისს „დინამო“, თითქმის ყოველთვის სხვებზე უკეთ მომზადებული ხვდებოდა ფეხბურთის მარათონის სტარტს. წელს, სამწუხაროდ, ამას ვერ ვამჩნევთ.

ალბათ შეგვეკითხებიან — რა მოხდა, ჩვენი რესპუბლიკის ნომერ პირველი გუნდის რიგები ხომ კიდევ უფრო გაძლიერდაო. როგორც ჩანს, აქ საქმე ეხება არა მარტო გუნდის ფავორიტებს, მათს პოტენციალს, არამედ კოლექტივის მომზადებას, მის ხელმძღვანელობას.

ადა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ შეჯიბრებაში, ისიც საკუთარ მოედანზე, დინამოელები პრიზისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე ათიდან მხოლოდ ორ ქულს დასჯერებოდნენ და აუტსაიდერად მოეკლინებოდნენ თავიანთ თაყვანისმცემლებს. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ გუნდი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძვის, მაგრამ წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევს. იქნებ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი „დინამო“? არა, აქ სპორტულ ბედზე როდია ლაპარაკი, რომლისაც დღეს არავის სჯერა, არამედ განვლილი მატჩების იმ უღიმღამო თამაშებზე, ჩვენს მოედანზე, რომ შეეცქეროდით. განა ასეთი თამაშით შეიძლება წარმატებებზე ფიქრიც კი, ან ქულებზე ოცნება ჩემპიონატში?

სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, დინამოელებს ისღა დარჩენიათ, რომ საკუთარ სტადიონზე იყვნენ არა როგორც ფინალისტები, არამედ მაყურებლები(!). ეს მეტად მწარე გაკვეთილია. უკვე ფაქტია, რომ გუნდის ახლანდელი ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს შელახული პრესტიჟის აღდგენას.

სამაგიეროდ, გვახარებს ქუთაისელთა წარმატება. გუნდმა, რომელმაც განიცადა ერთგვარი დანაკლისი, შეძლო ძალთა მობილიზება, ათი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა და ფინალში გავიდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ტორპედოელები ამ საბრძოლო განწყობილებას საკავშირო ჩემპიონატშიც შეინარჩუნებენ.

მოკლედ გუშინდელ მატჩზე. გადაეხადოთ „დინამოს“ შემადგენლობას, ორიოდე ფეხბურთელს გარდა, ყველანი დუბლიორები იყვნენ. რატომ არ ჩანდნენ ძირითადი მოთამაშეები? ისინი ლესელიძეში გაეგზავნენ და იქ დარჩებიან 23 მარტამდე. მაყურებლები მოტყუებულნი აღმოჩნდნენ, ნაცვლად წმინდა სპორტული პაექრობისა, ნახეს სრულიად უინტერესო, სუმბურული თამაში. მეორე ტაიმში ხაჟალიას მიერ გატანილ ორ გოლს დინამოელებმა ვერაფრით უპასუხეს და დამარცხდნენ 0:2.

ახლა ქუთაისელებს ფინალები მოელით, ვუსურვოთ მათ წარმატება.

ჟ. გაბელია.

მატჩები და შედეგები

ფეხბურთში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშების შეხვედრები ჯგუფებში დასასრულს უახლოვდება. გუშინ გაიმართა უკანასკნელი ტურის რამდენიმე მატჩი, დანარჩენი თამაშები შედგება დღეს და ხვალ. ამიხ შემდეგ ჯგუფებში გამარჯვებულები თავს მოიყრიან თბილისში და აქ მოაწყობენ დასკვნითს ასპარეზობებს.

გუშინდელი მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იდგა პირველი ჯგუფის ლიდერთა წარმომადგენლის ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდისა და ერევნის „არარატის“ შეხვედრა. გაიმარჯვეს ერევნელებმა 2:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ტაშკენტის მატჩმა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ მეორე ჯგუფის წამყვანი გუნდები — მოსკოვის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“. ასპარეზობა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0.

გუშინ უკანასკნელი ტურის მატჩი ჰქონდათ აგრეთვე მესამე ჯგუფის ლიდერს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“. შეხვედრის შედეგია ფრე 0:0.

შეხვედრა დუშანბეში მოსკოვის „სპარტაკისა“ და დუშანბეს „ენერგეტიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

ტურნირი იუგოსლავიაში

△ ლიდერია ნიკოლაუ — სამიდან სამი ქულა △ ჩემპიონობა ფაიბორძიკა △ ზატულოვსკაიას დამარცხება სპარტზე

მოსფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **ტატიანა ზატულოვსკაია** იუგოსლავიაში იმყოფებიან და მონაწილეობენ ქალთა დიდ საერთაშორისო საშაქრაკო ტურნირში. გარდა საბჭოთა მოჭადრაკეებისა აქ გამოდიან რუმინეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები — **ნიკოლაუ, ოფვანოვიჩი, ერეტოვა, ნოვარა, ლილიაკი,** სულ 14 მოჭადრაკე.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ბელგრადში ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის საელჩოს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველთათვის ეცნობებინათ, რა მდგომარეობაა ტურნირზე — ვინ არის ლიდერი, როგორ დაიწყეს ბრძოლა ჩვენმა მოჭადრაკეებმა **გაფრინდაშვილმა** და **ზატულოვსკაიამ.**

ეს პასუხი:

იუგოსლავიის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე **11** მარტამდე გათამაშდა სამი ტური. ამ შეხვედრებში წარმატებით გამოვიდა რუმინელი საერთაშორისო ოსტატი **ნიკოლაუ,** რომელმაც სამი პარტია მოიგო ზედიზედ და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მსოფლიოს ჩემპიონმა **გაფრინდაშვილმა** პირველ ტურში მოიგო იუგოსლავ **ლილიაკს,** მეორე ტურში დამარცხდა **ზატულოვსკაიასთან,** ხოლო მესამე ტურში გადადო პარტია ბულგარელ **ასენოვასთან.** სტარტზე წარუმატებლობა განიცადა აგრეთვე **ზატულოვსკაიამ,** რომელიც დამარცხდა **ერეტოვასთან** შეხვედრაში, მესამე ტურის პარტია კი გადადო. ამრიგად, **გაფრინდაშვილსა** და **ზატულოვსკაიას** სამი ტურის შემდეგ თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ლიდერს — **ნიკოლაუს** თითო ქულით ჩამორჩებიან **ერეტოვა, იოფვანოვიჩი** და **ნოვარა.**

მოჭადრაკე მანქანების მატჩი

ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო მატჩი საბჭოთა პროგრამა იგებს ანგარიშით 1:0.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების მსოფლიოში პირველი საერთაშორისო საჭადრაკო მატჩში, რომელიც 1966 წლის ნოემბერში დაიწყო, 10 მარტს პირველი შედეგი აღინიშნა. მესამე პარტიაში მე-19 სვლაზე საბჭოთა პროგრამამ „შამათი“ გამოაცხადა.

ამ მატჩში სულ გათამაშდება ოთხი პარტია. ექვს აი იწევეს მეოთხე პარტიის შედეგი, რომელშიც 19 სვლის შემდეგ საბჭოთა პროგრამას ზედმეტი ეტლი, კუ და პაიკი აყვს. (საკდესი).

ბაზის შაბრძანები თბილისში

ბუნებრივი გაზის შადრევანმა ამოხეთქა თბილისის ამოსავალზე [illegible] [illegible] [illegible]